MES 7 22 0000151579

15/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომისთარიღი: 01.02.2021
სხდომისდაწყებისდრო: 14:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 18:15 სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოსმდივანი: მარიამ შენგელია I,II,VI
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა III

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - COM-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ელენე ჟურავლიოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **ნიკათიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
14. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ნინო ალავიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მანანა ხაჩიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გულადი ფარტენაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ვლადიმერ მარგველაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, IV,
7	ლანდა ლურსმანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო გრძელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

12	ელენე გავაშელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:

არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1.პირველისაკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)Computer Engineering (Major)

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.07.2018, გადაწყვეტილება N28
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)/Computer Engineering (Major)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა-ელენე ჟურავლოვამ. საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსტეტი) აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 29-30 დეკემბერს. 28 დეკემბერს გაიმართა ვიზიტის წინა მოსამზადებელი შეხვედრა, სადაც ექსპერტების მხრიდან მოხდა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების შეჯერება. 2021 წლის 29 დეკემბერს ექსპერტებმა ადგილზე

დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. 30 დეკემბერს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით. გასაუბრებები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტის დასასრულს უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში,.ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები

პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით).

სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებისათვის შერჩეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს რუბრიკები, რაც გულისხმობს: სწავლის შედეგების მიღწევადობის მკაფიო შეფასებისათვის შერჩეული სასწავლო კურსების ყოველი მიზნისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს შეფასების კომპონენტი შესაბამისი სამიზნე ნიშნულით.

1. გაძლიერდეს სასწავლო კურსი „ბიოლოგია ინჟინერთათვის“, თუნდაც არჩევით სასწავლო კურსთა ნუსხაში ახალი საგნის დამატებით.
2. სასწავლო კურსის „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში“ წინაპირობად განისაზღვროს „კომპიუტერული და მონაცემთა ქსელები“ სასწავლო კურსი.
3. „შესავალი დაპროგრამებაში“ და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება“ სასწავლო კურსებს შორის არ იყოს სემესტრული წყვეტა.
4. სასწავლო კურსში „მონაცემთა ბაზები და საინფორმაციო სისტემები“ მოხდეს თემების თანმიმდევრობის გადანაცვლება (თუნდაც ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით).
5. სასწავლო კურსის „შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ დასახელება ჩანაცვლდეს შინაარსის შესაბამისი სახელით. თემების მიხედვით მოხდეს სასწავლო მასალის მოცულობის ოპტიმიზირება.
6. სასწავლო კურსი „ფიზიკის საფუძვლები I“ შინაარსი გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისად ან გახდეს არჩევითი.
7. სასწავლო კურს „კომპიუტერული და მონაცემთა ქსელები“ შინაარსში დაემატოს საკითხები უსადენო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.
8. რიგ სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.

9. შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამისა და სილაბუსების ქართული თარგმანი ინგლისურ ორიგინალთან.
10. რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის დოკუმენტში ასახულია ABET EAC კომისიის მიერ დადგენილი სწავლის შედეგები კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისთვის. ამასთან დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა მოსაზრებას, შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგებში ტერმინი "ინჟინერია" დაკონკრეტდა ჩანაცვლად ტერმინით "კომპიუტერული ინჟინერია".

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დასკვნის პროექტში დაშვებული იყო ფაქტობრივი უზუსტობა, კერძოდ, სასწავლო კურსების ფარგლებში არ ხდებოდა კურსის მიზნების შეფასება სამიზნე ნიშნულების საფუძველზე, რადგან სამიზნე ნიშნულები დგინდებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით. ხოლო რაც შეეხება კურსის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტებს და რუბრიკებს, აღნიშნა, რომ თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული იყო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შეფასებისთვის რელევანტური შეფასების კომპონენტი, რომლებშიც გაწერილი იყო მკაფიო კრიტერიუმები/რუბრიკები. ამასთან, ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გამოითქვა მოსაზრება სამიზნე ნიშნულების დახვეწასთან დაკავშირებით, იმ თვალსაზრისით, რომ სამიზნე ნიშნულად აღებულ კურსებში განისაზღვროს სპეციფიური შეფასების კომპონენტები და მოხდეს მათში შეფასების კრიტერიუმების და რუბრიკების დაზუსტება. დაწესებულება იზიარებდა აღნიშნულ რეკომენდაციას.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული კურსი წარმოადგენს შესავალ კურსს და მიზნად ისახავს ინჟინერთათვის ბიოლოგიაში იმ საფუძვლის შექმნას, რომელიც მათ მომავალში ბიოტექნოლოგიების მიმართულებით სწავლის გაგრძელების შემთხვევაში გამოადგებათ. ამასთან, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნულ რეკომენდაციას და კურსის "ბიოლოგია ინჟინერთათვის" ფარგლებში გათვალისწინებული საკითხების გაძლიერების მიზნით, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ განიხილება ძირითადი სწავლის სფეროს ფარგლებში, არჩევით კურსად, სასწავლო კურსის: "შესავალი ბიოტექნოლოგიებში" შეთავაზება.

რაც შეეხება თარგმანის შესაბამისობის საკითხს, საბაკალავრო პროგრამა ინგლისურენოვანი იყო, შესაბამისად, ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტებს პროგრამისა და სილაბუსების ინგლისურენოვანი დოკუმენტები წარმოადგენდა. რაც შეეხება თარგმანის სისწორეს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ სფეროს დარგობრივი ტერმინოლოგია ქართულ ენაზე ჯერჯერობით მხოლოდ ფორმირების პროცესში იყო და თვით დარგობრივ ლიტერატურაშიც კი იხმარებოდა პარალელური ტერმინები. რაც აისახებოდა წარმოდგენილი ინგლისურენოვანი დოკუმენტაციის ქართულ სამუშაო ვარიანტზე. უზუსტობების აღმოსაფხვრელად, გადაიხედებოდა და გასწორდებოდა პროგრამის ქართულენოვანი დოკუმენტები, თუმცა დაწესებულებას მიაჩნდა, რომ რადგან აღნიშნული რეკომენდაცია არ უკავშირდებოდა პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, მას ჰქონდა რჩევის ხასიათი.

ინსტიტუციამ არ გაიზიარა მე-8 რეკომენდაცია, ვინაიდან აღნიშნულმა კურსმა მოცემული სახით გაიარა გარე შეფასება "კომპიუტერული მეცნიერების" პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში.

აწესებულების წარმომადგენლის თქმით მე-10 რეკომენდაცია ბუნდოვანი იყო, ვინაიდან ექსპერტთა დასკვნის პროექტში აღნიშნული სასწავლო კურსები შემუშავებული იყო იმგვარად, რომ თითოეულში მოცემული იყო დავალებები, ლაბორატორიული პროექტები, სემინარისთვის შესასრულებელი სამუშაო, ისევე, როგორც წასაკითხი მასალა, რაც მთლიანობაში გათავლილი იყო კურსით განსაზღვრული კრედიტების შესაბამის მოცულობაზე და რომლებიც საჭიროებს დამოუკიდებელი სამუშაოსთვის სილაბუსით განსაზღვრულ დროს.

მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით კომპიუტერული ინჟინერიის ხუთი პროფესორი და 22 სტუდენტი გაწევრიანდა IEEE-ში, რომელთა რეგისტრაციის და საწევროს თანხებს უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა. აღნიშნულის ფარგლებში ჩამოყალიბდა და IEEE პლატფორმაზე რეგისტრირებული იქნა IEEE Student Branch, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ატარებდნენ სხვადასხვა სახის სასემინარო და სამეცნიერო აქტივობებს. მაგალითად, შემოდგომაზე მათ ჩაატარეს IEEE მე-8 რეგიონის მეწარმეობის გლობალური შეჯიბრის ლოკალური ღონისძიება ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის და სან დიეგოს უნივერსიტეტის-საქართველოს ერთობლივი ჩართულობით, რომელში გამარჯვებული გუნდი გლობალურ შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას. ამჟამად ამ ჯგუფის მიერ იგეგმებოდა IEEE სტუდენტური კონფერენციის მოწყობა. აწესებულების წარმომადგენლის თქმით, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია უნდა ატარებდეს რჩევის ხასიათს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დავიღ კაპანაძემ აღნიშნა, რომ იგი იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებით და თვლიდა, რომ მოცემული რეკომენდაცია მნიშვნელოვანი იყო. დენტური იყო მდგომარეობა სასწავლო კურსთან ,,შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“. ამასთან, საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ რეკომენდაცია დავალებების საათებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ სთხოვა ექპერტთა ჯგუფს განემარტათ პირველი რეკომენდაცია, დაეზუსტებინათ, გულისხმობდა თუ არა მოცემული რეკომენდაცია სწავლის შედეგების ჩასწორებსა და ტერმინოლოგიურ დამატებებს. მასთან, სწავლის შვიდივე შედეგი იმგვარად იყო ჩამოყალიბებული, რომ თითოეულ მათგანში აქცენტი კეთდებოდა უნარების შეძენა-გამომუშავებაზე. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად სწორად იყო ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები და შეიცავდა თუ არა სამივე კვალიფიკაციათა აღმწერს.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა დასკვნაში არსებული რჩევა, რომელიც გულისხმობდა ქართული ენის სწავლების გაძლიერებას. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული იყო A1 დონე, აქედან გამომდინარე რამდენად წარმოადგენდა მოცემული საკითხი რჩევას, იმ პირობებში, რომ უცხოელებისთვის, მხოლოდ A1 დონის სწავლება არ იქნებოდა საკმარისი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიძემ დააზუსტა, თუ როგორ იყო პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგები გადანაწილებული.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა დააზუსტა თუ სად ხდებოდა სტუდენტების პრაქტიკული მომზადება და რა ლაბორატორიული ბაზა გამოიყენებოდა სწავლების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საუბარი იყო მხოლოდ ტერმინოლოგიურ ჩასწორებაზე.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას, გამომდინარე იქიდან, რომ პანდემიის ფარგლებში სწავლა მიმდინარეობდა დისტანციურად ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ საკითხი განსაზღვრულიყო მხოლოდ რჩევის სახით.

დამოუკიდებელ საათებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ყველა სასწავლო კურსი იყო 6 კრედიტიანი (150 სთ). თუმცა რიგი სილაბუსებიდან არ ჩანდა დამოუკიდებელი საათების რაოდენობის შესაბამისობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნეოვანია სილაბუსებში დასაბუთდეს

დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, საკურსო პროექტები და სხვა. აღნიშნული უმეტესად ეხებოდა არჩევით სასწავლო კურსებს.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა შედეგებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ პროგრამის აღწერაში მოცემული იყო სწავლის შედეგები, რომლებიც წარმოადგენდა საერთაშორისო აკრედიტაციის ინსტიტუტის ABET-ის კრიტერიუმების შესაბამის შედეგებს. სწავლის შედეგების შესაფასებლად წარმოდგენილი იყო დოკუმენტი "კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების შეფასების მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები", რომელიც მოითხოვდა რიგ დაზუსტებებს. დოკუმენტის თანახმად სწავლის შედეგების შესაფასებლად უნდა გამოიყენონ შემდეგი ინფორმაცია, კურსების შესახებ, რომლებიც პასუხობდა შესრულების ინდიკატორებს, შეფასების ტიპები, შეგროვების სიხშირე, განხილვის/ანალიზის სიხშირე, შეფასების ინსტრუმენტები/მონაცემთა შეგროვების მეთოდები. აქვე მითითებული იყო, რომ „შეფასების კომპონენტები, კრიტერიუმები და რუბრიკები დეტალურად იყო წარმოდგენილი სილაბუსებში", თუმცა სილაბუსები შეიცავდა შეფასების კომპონენტებს, კრიტერიუმებს და არა რუბრიკებს. სწავლის შედეგების მიღწევადობის მკაფიო შეფასებისათვის შერჩეული საგნის ყოველი მიზნისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს შეფასების კომპონენტი შესაბამისი სამიზნე ნიშნულით. აღნიშნული მეთოდოლოგიით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სამომავლოდ იგეგმებოდ ა. ამ ეტაპზე შეფასებისათვის გამოყენებული იყო
სტუდენტის საშუალო აკადემიური მოსწრება და რეიტინგი. სწავლის შედეგების შეფასების გამოყენებით პროგრამის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დებულებები „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები" და „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები". პროგრამის არსებობიდან ამ დებულებების გამოყენებით განხორციელებულია რიგი ცვლილებები, რომლებიც ემსახურებოდა მის განვითარებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწავლის შედეგეი ჩამოყალიბებული იყო ABET-ის მოთხოვნების შესაბამისად, რაც შეეხება მათ გაზომვადობას, ცოდნა და ტრანფერული უნარები სრულად იყო განაწილებული მოცემულ სწავლის შედეგებში. თითოეულ სილაბუსსაც ეწერა, თუ კონკრეტულად რომელ შედეგზე გადიოდ ა.
რაც შეეხება ,,მონაცემთა ბაზებისა" და ,,შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში" სასწავლო კურსების საკითხებს, ორივე სასწავლო კურსი პროგრამაში არჩევითი საგნის სახით იყო შეთავაზებული. უსდ ახორციელებდა სამ ინგლისურენოვან პროგრამას რომელიც იყენებდა ერთმანეთის არჩევით კურსებს, რაც გამომდინარეობდა იქიდან, რომ მოცემული პროგრამები ერთმანეთთან კავშირში იყო. გამომდინარე აქედან, ამ კურსების ცვლილება, გულისხმობდა სამივე პროგრამაში ცვლილების განხორციელებას.
ქართულ ენასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის ფარგლებში სწავლობდნენ ორი ტიპის სტუდენტები, უცხოელები , რომელთა წილიც უფრო მეტია და მეორე - საქართველოს მოქალაქეები, რომელთათვისაც ყოველწლიურად გათვალისწინებულია 10 ადგილი. საქართველოს მოქალაქეები აბარებენ ქართულ ენას და შესაბამისად, ამ კუთხით არ საჭიროებენ მომზადებას. შესაბამისად სწავლობენ ინგლისურ ენას. თუმცა იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი წარადგენს C1 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, მაშის ის სწავლობს გერმანულ ენას. თავად ქართული ენა განსაზღვრულია ორი საუნივერსიტეტო კურსის სახით, რაც ასევე ხორციელდება ყველა სხვა ინგლისურენოვან პროგრამებზე. ამაზე მეტი სტუდენტებს არც მოეთხოვებოდათ, ვინაიდან ისისნი საერთოდ არ საჭიროებენ ქართულ ენას სწავლების პროცესში.რაც შეეხება

პრაქტიკას, უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა მე-3 კურსიდან იყო დასაქმებული, რა მიმართულებითაც დაწესებულებაც აქტიურად უწყობდა ხელს. ლაბორატორიებს რაც შეეხება, დაწესებულებას ჰქონდა FAB LAB სადაც სტუდენტებს შეეძლოთ მუშობაა სხვადასხვა პატარა ტიპის რობოტებზე, დრონებსა და სხვადასხვა სისტემებზე. ამასთან დაწესებულებამ, ათასწლეულის ფონდის დაფინანსებითა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად ააშენა ახალი ტექნოლოგიური შენობა, სადაც სრულად მოხდა სამი ლაბორატორიის აღჭურვა თავად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 15:04

დასრულებისდრო: 16:04

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგების აღწერაში აქცენტირება გაკეთდეს კომპიუტერულ ინჟინერიაზე (შესაბამისი ტერმინოლოგიური ჩანაცვლებით);
- სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებისათვის შერჩეული სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს რუბრიკები, რაც გულისხმობს: სწავლის შედეგების მიღწევადობის მკაფიო შეფასებისათვის შერჩეული სასწავლო კურსის ყოველი მიზნისათვის მკვეთრად უნდა განისაზღვროს შეფასების კომპონენტი შესაბამისი სამიზნე ნიშნულით.
- რეკომენდებულია პროგრამისა და რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება მეტი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
- გაძლიერდეს სასწავლო კურსი „ბიოლოგია ინჟინერთათვის", თუნდაც არჩევით სასწავლო კურსთა ნუსხაში ახალი სასწავლო კურსის დამატებით.
- სასწავლო კურსის „შესავალი კიბერუსაფრთხოებაში" წინაპირობად განისაზღვროს „კომპიუტერული და მონაცემთა ქსელები" სასწავლო კურსი.
- „შესავალი დაპროგრამებაში" და „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება" სასწავლო კურსებს შორის არ იყოს სემესტრული წყვეტა.
- შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამისა და სილაბუსების ქართული თარგმანი ინგლისურ ორიგინალთან.
- სასწავლო კურსი „ფიზიკის საფუძვლები I" შინაარსი გაძლიერდეს სწავლების საფეხურის შესაბამისად ან გახდეს არჩევითი.
- სასწავლო კურს „კომპიუტერული და მონაცემთა ქსელები" შინაარსში დაემატოს საკითხები უსადენო ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.
- რიგ სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, პრეზენტაციები და სხვა.

რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- სასურველია სასწავლო კურსში „მონაცემთა ბაზები და საინფორმაციო სისტემები" მოხდეს თემების თანმიმდევრობის გადანაცვლება (თუნდაც ძირითადი სახელმძღვანელოს მიხედვით).

- სასურველია სასწავლო კურსის „შესავალი კომპიუტერულ ენათმეცნიერებაში“ დასახელება ჩანაცვლდეს შინაარსის შესაბამისი სახელით. თემების მიხედვით მოხდეს სასწავლო მასალის მოცულობის ოპტიმიზირება.
- სასურველია უნივერსიტეტმა დანერგოს მოცემული პროგრამისთვის ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში ჩართვას.
- ენობრივად გაიმართოს ქართულენოვანი დოკუმენტაცია.
- გაძლიერდეს ქართული ენის სასწავლო კურსის სწავლება.
- სასურველია „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ სასწავლო კურსის ნაცვლად ისეთი საგნების შეთავაზება, რომლებიც უფრო მეტად იქნებოდა კომპიუტერულ ინჟინერიასთან კავშირში ან აღნიშნული კურსი გახდეს არჩევითში.
- სასურველია პროექტის საბოლოო ანგარიშის სტრუქტურის წარდგენა განხორციელდეს იმ მითითებების დაცვით, რომელიც გაწერილია „CE 490B დამამთავრებელი კურსის დიზაინის პროექტი“ სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით;
- სასურველია, საერთაშორისო სტუდენტების დეპარტამენტმა უზრუნველყოს საერთაშორისო სტუდენტებთან მუდმივი და მეტად აქტიური კავშირი, მათთვის ზუსტი და დროული ინფორმაციის მიწოდებისათვის.
- უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან დადარების შედეგები ჩამოყალიბდეს უფრო მკაფიო ფორმით.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

16:06 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთადა- გაიოზ ფარცხალაძე და თამარ ჩხეიძე.

2.მეორ ესაკითხი : შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4		

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №689586, 24/06/2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 - დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. 237 6010,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის “აკრედიტაციის 4 ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმის სტომატოლოგია ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2021 წლის 10 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად, 2021 წლის 2-3 დეკემბერს ჰიბრიდულ ფორმატში, როგორც ადგილზე ვიზიტის განხორციელებით ისე დისტანციურად. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. ყველა დაგეგმილი აქტივობა შესრულდა. დაწესებულებამ შეფასების პროცესში წარმოადგინა დამატებით მოთხოვნილი ექსპერტთა ჯგუფისათვის საინტერესო და

მნიშვნელოვანი მასალები. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილ იქნა უნივერსიტეტის წარმომადგენლების წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ვიზიტის პროცესში ექსპერტთა მიერ ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები. შეფასების პროცესი მიმდინარეობდა საქმიანი დისკუსიის, აკადემიურ, პროფესიონალურ და თანამშრომლობით ფორმატში, დარგობრივი მსჯელობა იყო მრავალმხრივი და არგუმენტირებული. სააკრედიტაციო ვიზიტმა ჩაირა კეთილგანწყობილ და კოლეგიალური მხარდაჭერის ფარგლებში.

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში მკაფიოდ გამოჩნდეს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა ყველა სტუდენტმა ჩაატაროს სასწავლო კურსით "კლინიკური პრაქტიკა DEN 5012" გათვალისწინებული მანიპულაციები კლინიკაში;
- ყველა დარგობრივ კლინიკურ საგნებში მოხდეს პაციენტზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა;
- დარგობრივ კლინიკურ საგნებში სავალდებულო მანიპულაციები განისაზღვროს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ პრაქტიკა პროგრამის ფარგლებში სავალდებულო იყო ყველა სტუდენტისთვის. ამასთან, დაწესებულებას ჰქონდა სპეციალური დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო გაწერილი ყველა ის მანიპულაცია რაც პრატქიკის დროს უნდა განხორციელებულიყო და ყველა ის შედეგი რაზეც უნდა გასულიყო სტუდენტი. თუმცა სანამ პრაქტიკამდე მივიდოდა სტუდენტი, დაწესებულებას ჰქონდა 30 კლინიკური ფანტომი, რაც საშუალებას იძლეოდა, რომ პაციენტთან შეხებამდე, ყველა მოქმედება განხორციელებული ჰქონოდა საფანტომო თავებზე, ზუსტად იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რაც გამოიყენებოდა პაციენტის მკურნალობის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიღების წინაპირობებში ყველა კრიტერიუმი მკაფიოდ იყო გაწერილი, თუმცა უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთხით დეტალურად იყო გაწერილი თუ რა დონის იმგლისური ენოს ცოდნა ევალებოდა პირს, ხოლო საქართველოს მოქალაქეებისთვის აუცილებელი იყო მაღალი შეფასება, რაც უშუალოდ მისაღები გამოცდის დროს დაზუსტდებოდა. საბჭოს წევრმა დამატებით ითხოვა განმარტება

რით იყო აღნიშნული განპირობებული და უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, პროგრამაზე მიღების წინაპირობებში საქართველოს მოქალაქეებისთვის მკაფიოდ გამოკვეთილიყო და დაზუსტებულიყო ენობრივი ბარიერი და მიღების კრიტერიუმები ინგლისურ ენაში.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ 4.3 კომპონენტის აღწერით ნაწილში, არ იყო აღნიშნული საფანტომო ლაბორატორიის შესახებ, რაც ექსპერტთა მიერ აღინიშნა როგორც საუკეთესო პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, რჩევაში მოცემული იყო პრაქტიკული ნაწილის დამატება. შესაბამისად, საბჭოს წევრმა განმარტება ითხოვა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საფანტომო ლაბორატორია საკმაოდ კარგად არის მოწყობილი, თუმცა საჭიროა რესურსის დამატება, რომ მაქსიმალურად ყველა სტუდენტისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე ძირითადად უცხოელი სტუდენტები სწავლობენ, ქართველ სტუდენტთა ხვედრითი წილი და მათი დასწრების მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო. აქვე დაწესებულებისთვის სირთულეს წარმოადგენდა კონკრეტული ენორბივი ბარიერის დაწესება, შესაბამისად გადაწყვეტილება მიიღო დაყრდნობოდა აბიტურიენტუის პროგრესის დინამიკას. თუმცა დაწესებულება იზიარებდა მოცემულ რეკომენდაციას.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 16:36
დასრულებისდრო: 17:00

საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება:

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამაში მკაფიოდ გამოჩნდეს, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულოა ყველა სტუდენტმა ჩაატაროს სასწავლო კურსით "კლინიკური პრაქტიკა DEN 5012" გათვალისწინებული მანიპულაციები კლინიკაში;
- რიგ დარგობრივ კლინიკურ საგნებში მოხდეს პაციენტზე ჩასატარებელი მანიპულაციების კონკრეტული რაოდენობის განსაზღვრა;
- დარგობრივ კლინიკურ საგნებში სავალდებულო მანიპულაციები განისაზღვროს დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად.

საბჭოს გადაწყვეტილებით რჩევები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განმახორციელებელი გუნდი აცხადებს მზაობას ამ ფორმით წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, უპრიანი იქნება თუ მოხერხდება სწავლის შედეგების შემცირება მსგავსი სწავლის შედეგების გაერთიანების ხარჯზე.
- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობებში საქართველოს მოქალაქეებისთვის მკაფიოდ გამოიკვეთოს და დაზუსტდეს ენობრივი ბარიერი და მიღების კრიტერიუმები ინგლისურ ენაში.
- გაიზარდოს საუნივერსიტეტო კლინიკის მოცულობა;
- სასურველია დამსაქმებელთა რაოდენობის გაზრდა;
- უცხოელი სტუდენტებისთვის ქართული ენის სწავლების დაწყება პირველივე სემესტრიდან;

- სასურველია უნივერსიტეტმა იზრუნოს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკის გაფართოებაზე და საფანტომო მატერიალური რესურსის დამატებაზე, კერძოდ:
- საკერავი მასალა ქირურგიული სტომატოლოგიისათვის
- საექსტრაქციო მულაჟები
- საექსტრაქციო ინსტრუმენტების ანაწყობი
- საანესთეზიო ფანტომები

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: (სრული აკრედიტაცია 4 წლის ვადით)

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის სტომატოლოგიის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

3.მესამე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 წ გადაწყვეტილების N266
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციოლოგიის სამაგისტრო სასწავლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 - სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძისგამზ. N8, N14, თბილისი, კორპუსიVI, IV, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, მარიამ შენგელიამ, გიორგი ღაღანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამესაკითხისზეპირიმოსმენა

ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 დეკემბერს დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (სოციოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას.

10 დეკემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

სსიპ - ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;
2. რეკომენდებულია, რომ უსდ-ს ვებგვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით/კომპონენტებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე და როგორ მოხდება ქულათა რაოდენობის მინიჭება თითოეული კომპონენტისთვის;
3. რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო;
4. რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ.) სავალდებულო კურსის დამატება;
5. რეკომენდებულია, სავალდებულო თეორიულ კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვა, და მათ შორის ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის დაცვა
6. რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში;
7. რეკომენდებულია, პროგრამამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, რათა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას;
8. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად;
9. რეკომენდირებულია, სილაბუსებში მოცემული შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კერძოდ, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში მინიმალურს;
10. რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესში აქტიურად გამოიყენებოდა აკადემიური მოსწრების ანალიზი. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამიზნე ნიშნულები (სასწავლო კურსებს სტუდენტთა მინიმუმ 70% დაასრულებს 81 ქულაზე მაღალი შეფასებით; საშუალოდ სტუდენტების 51% დაიცვას ნაშრომს „ფრიადზე") განისაზღვროდა ბოლო 2 წლის სასწავლო გამოცდილების გათვალისწინებით. შესაბამისად, თუ რეალობა შეიცვლებოდა, ეს გამოიწვევდა სამიზნე ნიშნულების დაკორექტირებას. აკადემიური მოსწრების ანალიზი ხორციელდებოდა ყოველსემესტრულად. სამიზნე ნიშნეულებთან სტუდენტების მიღწევების დადარება ხორციელდებოდა არა მათ მიერ პროგრამის დასრულების შემდგომ, არამედ შუალედურად, პროგრამის განხორციელების პარალელურად საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მიერ. თუ შუალედური შეფასებისას გამოიკვეთებოდა სტუდენტთა მიერ პროგრამით დასახული სამიზნე ნიშნულების ვერ მიღწევის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ხდებოდა სასწავლო კურსების შინაარსობრივი მხარის შესწავლა. მსგავს შემთხვევებში, განხილვის საგანს წარმოადგენდა სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდები, შეფასების მეთოდები, ფორმები და მათი გამჭვირვალობა, სასწავლო კურსის შინაარსი, დავალებების/აქტივობების შინაარსი და სიცხადე და სხვ.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული პროცედურისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია გაწერილი ჰქონდა დაწესებულებას და შესაბამისი დოკუმენტი განთავსებული იყო თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებგვერდზე.

მნიშვნელოვანი იყო ასევე დასკვნაში არსებული მე-3 და მე-4 რეკომენდაციები, კერძოდ აღნიშნული რეკომენდაციები უსაფუძვლოდ მიიჩნეოდა: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავდა სოციოლოგიის პრაქტიკუმის 15 კრედიტიან სავალდებულო კურსს (პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1, პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2 და პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3). ეს კურსები ისწავლებოდა 3 სემესტრის განმავლობაში და მათ ფარგლებში სტუდენტები სწორედ კომპიუტერული პროგრამების (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევისთვის) გამოყენების უნარ-ჩვევებს იღრმავებდნენ. ეს პროგრამებია SPSS და Nvivo. გარდა ამისა, სტუდენტებს თავაზობდნენ არჩევით კურსს რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა დამუშავების ალტერნატიული კომპიუტერული პროგრამის - STATA - სახით. აღნიშნული კურსის აღება სტუდენტებისთვის ერთგვარ სტატისტიკურ „ფუფუნებას" წარმოადგენდა, რამდენადაც მათ ჰქონდათ SPSS კომპიუტერული პროგრამა შესწავლილი სოციოლოგიის პრაქტიკუმის სავალდებულო კურსის ფარგლებში. ამდენად, არ არსებობდა აუცილებლობა იმისა, რომ STATA-ს კურსი სავალდებულო გამხდარიყო მომავალში.

რაც შეეხებ მე-5 რეკომენდაციას, დაწესებულება რეკომენდაციას ნაწილობრივ ეთანხმებოდა, კერძოდ ორ კურსში „თანამედროვე სოციალური თეორიები 2" და „პოსტმოდერნული სოციალური თეორიები" ჩართული იყო თემები, რომლებიც მიშელ ფუკოსა და ჟან ბოდრიარის სოციალურ თეორიებს ეხებოდა. ეს თეორიები, თავისი არსით, პოსტმოდერნული თეორიები იყო. ამდენად, ისინი ამოღებულ იქნებოდა „თანამედროვე სოციალური თეორიები 2"-ის სილაბუსიდან და დარჩებოდა „პოსტმოდერნული სოციალური თეორიების" სილაბუსში. რაც შეეხება თემების გადაფარვას სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივ მეთოდებსა და სოციოლოგიის პრაქტიკუმს შორის, ეს სავსებით ლოგიკურად მიიჩნეოდა - პრაქტიკა იმეორებდა თეორიული კურსის საკითხებს, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პრაქტიკუმის კურსში ეს საკითხები კონკრეტულ გამოყენებით უნარ-ჩვევად (ხელობად) კონვერტირდებოდა. შეცდომა სწორედ ის იქნებოდა, კვლევის მეთოდებისა და პრაქტიკუმის კურსები ერთმანეთს რომ აცდენილი იყო თემატურად.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია ზოგადი იყო და, ერთის გარდა, არცერთ სასწავლო კურსს არ

მიემართებოდა. ისინი თვლიდნენ, რომ როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი სოციოლოგიის კუთხით, სასწავლო პროგრამაში ჩართული იყო დარგის უახლესი მიღწევები. რაც შეეხებოდა კურსს, რომელსაც ეს რეკომენდაცია ეხებოდა.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამაში არსებობდა 5 კრედიტიანი კურსი - პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3, რომელიც სწორედ კვლევით ორგანიზაციებში სტაჟირებას ითვალისწინებდა. სტუდენტები სტაჟირებას ოფიციალურად გადიოდნენ ორ ორგანიზაციაში: კავკასიის რესურსების კვლევით ცენტრში (CRRC) და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტში (ISSA). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული იყო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. აღნიშნული ტიპის დოკუმენტი, განსხვავებით ხელშეკრულებისგან, მისი შინაარსიდან გამომდინარე არ მოითხოვდა ისეთი დეტალების დაზუსტებას როგორიცაა სტუდენტთა რაოდენობა და სტაჟირების/პრაქტიკის პერიოდი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-8 რეკომენდაცია, კერძოდ დასწრება და აქტიურობა სხვადასხვა ტიპის აქტივობებია. ამდენად, სავსებით ლოგიკურია ამ ორი კომპონენტის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და განსხვავებულად შეფასება. თუ რომელიმე სასწავლო კურსის პედაგოგს შეფასების ეს ორი კომპონენტი გაყოფილი აქვს, ეს მისი აკადემიური თავისუფლების ნაწილია.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, სილაბუსების აბსოლუტურ უმრავლესობაში შეფასების დიაპაზონები გაწერილი იყო რაციონალური შუალედით. დასკვნაში არარაციონალური („დიდი“) დიაპაზონის დასტურად მოტანილი იყო შემდეგი შუალედები: 36-31, 30-25, 19-10, რაც მართებულად არ მიაჩნდა დაწესებულებას. თავად განსხვავებული შეფასების უნივერსალური საგანმანათლებლო სტანდარტები გულისხმობს 10 ქულიან დიაპაზონს. სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებში შეფასებათა დიაპაზონები, როგორც წესი, 10-ზე ნაკლებია (10 ქულიანი დიაპაზონის ნიმუშად დასკვნაში მოტანილი იყო მხოლოდ ერთი არჩევითი კურსი “დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში” და არც ეს მიგვაჩნია პრობლემად).

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სოციოლოგიაში სამაგისტრო ნაშრომები, როგორც წესი, სრულდებოდა ემპირიული კვლევის საფუძველზე; ამდენად, სტუდენტებს აუცილებლად უნდა მიცემოდათ წყვილში სამაგისტრო ნაშრომების შესრულების უფლება. აღნიშნავდნენ, რომ ემპირიული კვლევები (განსაკუთრებით, რაოდენობრივი) მრავალსაფეხურიანია და გულისხმობს სხვადასხვა (მათ შორის, ადამიანური) რესურსის აქტიურად გამოყენებას, შესაბამისად, ჯგუფურ მუშაობას. მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელი იყო, რომ ერთ სტუდენტს განეხორციელებინა რეპრეზენტატული რაოდენობრივი კვლევა და კვალიფიციურად შეესრულებინა ყველა მისი ეტაპი - ტექნიკურიც და ინტელექტუალურიც. სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა უშვებდა, რომ, ემპირიული კვლევის შემთხვევაში, არაუმეტეს ორ სტუდენტს დაეწერა ნაშრომი. ამ დათქმითაც კი უაღრესად შრომატევადი საქმე ჰქონდათ შესასრულებელი. თუ ჯგუფურ (2 წევრიან) მუშაობას აკრძალავდნენ, არსებობდა რეალური რისკი, რომ სტუდენტები ემპირიული კვლევების საფუძველზე აღარ დაწერდნენ სამაგისტრო ნაშრომს, რაც დარგის განვითარებისთვის მიუღებელი იყო. ამასთან, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი წყვილში სრულდებოდა, ნაშრომს წაეყენებოდა სხვა მოთხოვნები, ვიდრე მაშინ, როდესაც ნაშრომი ინდივიდუალურად სრულდებოდა. კერძოდ, ეს გამოიხატებოდა სამაგისტრო ნაშრომის მოცულობის გაზრდით (სტანდარტულ მოთხოვნას 1/3-დით უნდა აღემატებოდეს წყვილში შესრულებული ნაშრომის მოცულობა). **საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომებზე.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეაგირების მექანიზმი იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ცენტრალიზებული

დოკუმენტი, რომელიც ერთნარად მიემართებოდა ყველა საფეხურის პროგრამებს. შესაბამისად, თუ კომიტეტი ამაზე რეაგირებას აკეთებდა და მსგავსი მექანიზმი დაწესებულებას ჰქონდა, აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენდა რეკომენდაციის საფუძველს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა რეკომენდაციებთან მიმართებით აღნიშნა რომ პროგრამის ხელმძღვანელის განმარტება სავსებით მისაღები იყო. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს დაეზუსტებინათ დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის გაცნობის შემდგომ მათი პოზიცია შეიცვალა თუ არა.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექპერტთა მოთხოვნა იყო რეაგირების მექანიზმის პროგრამაში მითითება და განსაზღვრა.
ექსპერტმა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ნაშრომები არ იყო ისეთი მასშტაბური, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მისი ერთი სტუდენტის მიერ მომზადება. ამასთან, რამდენადაც სამაგისტრო ნაშრომი, იგივე, სამაგისტრო თეზისი, წარმოადგენდა ორიგინალურ ინდივიდუალურ კვლევას, რომელიც აკადემიური ხარისხის მოპოვების წინაპირობას წარმოადგენდა, მისი დაგეგვა, განხორციელება და შეფასება ინდივიდუალურად ხდებოდა. არგუმენტს ემპირიულ მონაცემთა რეპრეზენტატულობის უზრუნველყოფის მიზნით სამაგისტრო კვლევით პროექტში სტუდენტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით ვერ გაიზიარებდნენ. რაოდენობრივი ხასიათის კვლევაში მონაცემთა რეპრეზენტატულობის მოთხოვნის დაკმაყოფილება თანაბრად იყო გამოწვევა, როგორც ერთი, ისე, ორი ან თუნდაც, სამი მკვლევარის პირობებში. სწორედ ამიტომ, რეპრეზენტატულობის მკაცრი მოთხოვნები სამაგისტრო კვლევის ფარგლებში სტუდენტს არ წაეყენებოდა. იმ დროისათვის ერთერთი ალტერნატივა ონლაინ გამოკვლევები გახლდათ, რომლებიც სტუდენტს ეხმარებოდა მონაცემების რეპრეზენტატულობის გაზრდაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდებოდა კითხვა, თუ როგორ ახერხებენ სამაგისტრო თეზისზე ინდივიდუალურად მუშაობას სტუდენტები სოციოლოგიის პროგრამებზე მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რამდენადაც თეზისი სწორედ ემპირიული კვლევის ჩატარებას მოიაზრებდა. იმავდროულად, უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სამაგისტრო საფეხური აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას ან ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელთა საფუძველზედაც ის შეძლებდა სამაგისტრო ნაშრომის ან/და პროექტის წარდგენას, აქედან გამომდინარე, რადგან ზემოთ აღნიშნულ პუნქტში ხაზგასმით ეწერა სტუდენტის მიერ კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა, მიზანშეწონილი იყო, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად ემუშავათ სტუდენტებს, რათა ნათელი ყოფილიყო თითოეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პრაქტიკა ართულებდა სტუდენტის შეფასების პროცედურებს, რადგან სტუდენტი სრულად ვერ დაფარავდა შეფასების კრიტერიუმებით მოთხოვნილ ყველა კომპონენტს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იგი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ რაოდენობრივი კვლევები ჩატარებულიყო არა რეპრეზენტატური შერჩევით, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომი წარმაოდგენდა სერიოზულ სამეცნიერო პროდუქტს, შესაბამისად თუ სტუდენტი გადაწყვეტდა, რომ სამაგისტრო ნაშრომი უნდა დაწერილიყო რაოდენობრივი კვლევის საფუძველზე, რეპრეზენტატულობა მისი კვლევის შერჩევას აუცილებლად მოეთხოვებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლევების შედეგები არ იქნებოდა სანდო და ობიექტური. გარდა ამისა განსაზღვრული დრო იყო სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ ჩატარებულიყო სრულფასოვანი რაოდენობრივი კვლევა.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სწორედ იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ინსტიტუციის პოზიციაში დასახელებული სასწავლო კურსების მიზანს არ წარმოადგენდა უშუალოდ SPSSის, ისევე როგორც, ცალკე NVivo-ს პროგრამის შესწავლას, არამედ მთელ რიგ კვლევასთან დაკავშირებულ საკითხებს შორის სილაბუსში მხოლოდ რამდენიმე ლექციას/სემინარს უთმობდა მათ, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო მონაცემთა ანალიზის კომპიუტერული

პროგრამების (რაოდენობრივი, თვისებრივი) შემსწავლელი კურსები ცალკე ყოფილიყო სავალდებულო სტატუსით, სოციოლოგიის პროგრამისთვის მათი არსებითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ამასთან, კითხვა ჩნდებოდა, თუ როგორ "იღრმავებენ სტუდენტები NVivo-სა და STATA-ს პროგრამების გამოყენების უნარ-ჩვევებს", იმ პირობებში, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ არსებობდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ლაბი შესაბამისი ლიცენზირებული პროგრმული უზრუნველყოფით), რაც აღინიშნა ასევე ლექტორების მიერ, რომლებიც აღნიშულ პროგრამებს აცნობდნენ სტუდენტებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავდა სოციოლოგიის პრაქტიკუმის 15 კრედიტიან სავალდებულო კურსს. ეს კურსები ისწავლებოდა სემესტრის განმავლობაში და მათ ფარგლებში სტუდენტები სწორედ კომპიუტერული პროგრამების (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევისთვის) გამოყენების უნარ-ჩვევებს იღრმავებენ. ეს პროგრამებია SPSS და Nvivo.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება

დაწყებისდრო: 17:33

დასრულებისდრო: 18:00

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

- სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად უნდა განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები.
- სასურველია პროგრამას ჰქონდეს კიდევ უფრო მჭიდრო ინსტიტუციური კავშირები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან და სამომავლოდ გაიზარდოს იმ კომპანიების ჩამონათვალი, სადაც მაგისტრანტები შეძლებენ პრაქტიკის გავლას.
- რეკომენდებულია, რომ უსდ-ს ვებგვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია საჯაროდ და გამჭვირვალედ, თუ რა კრიტერიუმებით/კომპონენტებით მოხდება აპლიკანტის შეფასება როგორც გასაუბრებაზე, ისე, სპეციალობის გამოცდაზე და როგორ მოხდება ქულათა რაოდენობის მინიჭება თითოეული კომპონენტისთვის.

- რეკომენდებულია, რაოდენობრივი მონაცემების კომპიუტერული ანალიზის კურსი (SPSS, ან STATA) გახდეს სავალდებულო;
- რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერული პროგრამის (NVivo, MAXQDA ან სხვ.) სავალდებულო კურსის დამატება.

- რეკომენდებულია, სავალდებულო თეორიულ კურსებს შორის თემების გამეორება/დუბლირების გამორიცხვა, და მათ შორის ლოგიკური თანმიმდევრობის პრინციპის დაცვა;
- რეკომენდებულია, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებსა და სფეროს თანამედროვე მიღწევებს. მათ შორის, არა მხოლოდ თეორიულ, არამედ კვლევით და მეთოდოლოგიურ კურსებში.

- რეკომენდებულია, პროგრამამ ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას უშუალოდ კვლევით ორგანიზაციებში; ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვანია როგორც ფაკულტეტის ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან სათანადო მხარდაჭერა, რათა დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.
- რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები სილაბუსებში, სადაც ფასდება დასწრება აქტივობისგან დამოუკიდებლად.
- რეკომენდირებულია, სილაბუსებში მოცემული შეფასების კომპონენტების დაზუსტება. კერძოდ, ქულებს შორის არსებული დიაპაზონის შემცირება ან განმარტება, თუ რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი მაქსიმალურ ქულას და რა შემთხვევაში მინიმალურს.
- რეკომენდირებულია, სამაგისტრო ნაშრომებზე ინდივიდუალურად იმუშაონ სტუდენტებმა, რათა ნათელი იყოს თითეული მაგისტრანტის როლი სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში და აღნიშნული საკითხი თანხვედრაში მოვიდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან.

რჩევები:

- სასურველია, რომ სპეციალური ინგლისური ენის კურსი, რომელიც არჩევითი სტატუსითაა წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმში, არ შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ერთი სემესტრით და სემესტრულად რთულდებოდეს ამ კურსის ფარგლებში შესასწავლი მასალა.
- სასურველია, ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაცია და მათი ცნობიერების ამაღლება.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს.
- სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
- სასურველია სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დაფიქსირებული ქულების სერიოზული ინფლაციის(წანაცვლებული მაღალი შეფასებების მიმართულებით) სიღრმისეული გამოკვლევა და სათანადო რეაგირების განხორციელება.

გადაწყვეტილება: (აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარდგენის ვალდებულებით)

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის "სოციოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

4.მეოთხე საკითხი: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის "სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N201 – 07.12.2018
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სტომატოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული სტომატოლოგი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0911 დენტალური მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0144, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N31
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
საბჭოსთავმჯდომარემსთხოვაექსპერტთაჯგუფსწარმოედგინათმათიპოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის, სტომატოლოგიის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანამანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 7 დეკემბრის N201 გადაწყვეტილების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდებოდა აკრედიტებულ რეჟიმში.
რეკომენდაციების შესაბამისად თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ ანგარიშში მოწოდებულ იქნა ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით, კერძოდ საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად პროგრამების ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ასპექტის გაძლიერების მიზნით, ჯანდაცვის ფაკულტეტზე განხორციელდა მოლაპარაკებები იტალიის, კერძოდ ინსუბრიას უნივერსიტეტთან. აღნიშნული აქტივობა დასრულდა წარმატებით, მოხდა ხელმოწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმზე. აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ დაწესებულების ანგარიშშია მოცემული, თუმცა არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულებები. უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ არგუმენტირებულ პასუხში წარმოადგინა მემორანდუმი ინსუბრიის (იტალია) უნივერსიტეტთან. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ვერ გაითვალისწინებს ამ მემორანდუმს, რადგანაც იგი წარმოდგენილია მონიტორინგის 60 დღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.
ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. **1.** რეკომენდებულია ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ როდესაც დაწესებულებამ გააგზავნა პოზიცია დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, მაშინვე იქნა აღნიშნული მემორანდუმი გაგზავნილი. შესაბამისად, დაწესებულება ვერ ეთანხმებოდა იმ გარემოებას, რომ მემორანდუმები 60 დღიანი ვადის დარღვევით იქნა გაგზავნილი. აღინიშნა, რომ ექსპერტების მიერ აღნიშნული დოკუმენტი არ იქნა გამოთხოვილი, შესაბამისად გარემოების გაგებისთანავე დაწესებულებამ ხელშეკრულება გააგზავნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად. რაც შეეხება მემორანდუმს, აღნიშნული გაფორმებული იქნა სექტემბერში.
სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 18:10
დასრულებისდრო: 18:13

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება:
რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაცია:

- სასურველია ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ჩართულნი იყვნენ გაცვლით საერთაშორისო პროგრამებში

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილების საკითხი
კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს თბილისისჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს: დენტალური მედიცინა; დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: დენტალური მედიცინა - 0911.
დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 1 თებერვლის 18:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა